ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №165

28 მაისი 2014 წ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსათვის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 13 ივნისის №32 დადგენილებით დამტკიცებული ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის წესი“-ს მე-13 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2014 წლის 22 აპრილის №01/81862 და 2014 წლის 1 მაისის №01/91961 წერილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გადაეცეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჩოხატაურში, სოფ. ხიდისთავში მდებარე შენობა–ნაგებობა – ღირებულებით - 7771 (შვიდი ათას შვიდას სამოცდათერთმეტი) ლარი, მასზე დამაგრებულ 315.00 კვ.მ. არსასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთან ერთად (მიწის ღირებულება - 1134 (ათას ას ოცდათოთხმეტი) ლარი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.09.25.050).
2. უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის ვადად განისაზღვროს 1 (ერთი) წელი.

3. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობას (თამაზ ჯინჭარაძე) მხარეთა შორის გასაფორმებელი უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტის მომზადება.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. № 4.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი *მიხეილ უნგიაძე*